BGA ROAR

NEWSLETTER BY British–Georgian Academy

დირექტორის წერილი

ძვირფასო მშობლებო, სემესტრი არაჩვეულებრივად დაიწყო — ბოლო ორი კვირის განმავლობაში შესაძლებლობა მქონდა, ასამბლეებზე უკეთ გამეცნო მოსწავლეები და მათთან ურთიერთობით დიდი სიამოვნება მიმეღო. გარდა ამისა, არაჩვეულებრივი გამოცდილება იყო მშობლებთან პირადად გასაუბრება თემაზე, რომელიც ჩვენთვის ყველასთვის მნიშვნელოვანია — სწავლა-სწავლების ხარისხზე აკადემიაში. სასიამოვნოდ გაოცებული ვარ ამ შეხვედრების მონაწილე თითოეული ადამიანის ძალისხმევითა და ჩართულობის ხარისხით.

კარგად შედგენილი კურიკულუმი სწავლების იმ ფორმატთან ერთად, რომლის ცენტრშიც ჩვენი მოსწავლეების საჭიროებები დგას — ეს არის ის, რისკენაც მუდმივად ვისწრაფვით. თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული პერსონალიზებული მიდგომის შემუშავება ჩვენი საქმიანობის მთავარი ფოკუსია.

ბოლო რამდენიმე კვირის გამორჩეულ მომენტებში ასევე უნდა დავასახელო არაფორმალური საუბრები მოსწავლეთა ჯგუფებთან. BGA-ის მოსწავლეებთან აზრების გაცვლა ყოველთვის სასიამოვნოა. ჩვენ ისეთ თემებს შევეხეთ, როგორებიცაა განათლების მნიშვნელობა, საკუთარ სასწავლო გამოცდილებაზე პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობა და მრავალი კლასგარეშე აქტივობის მოსინჯვის როლი პიროვნული განვითარებისათვის. ზოგიერთ მოსწავლეს უკვე დასახული აქვს საინტერესო სამომავლო მიზნები და, რაც მთავარია, ესმის, რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია ამ მიზნების მისაღწევად.

IB DP — შიდა შეფასებები

IB პროგრამის მოსწავლეებმა დიპლომის მნიშვნელოვან კომპონენტზე, შიდა შეფასებებზე დაიწყეს მუშაობა (Internal Assessment). დამოუკიდებელ პროექტებზე მუშაობა მათ შესაძლებლობას აძლევს, სიღრმისეულად ჩაებან სამეცნიერო კვლევებში და რეალური პრობლემები გამოიკვლიონ.

უნივერსიტეტების გამოფენა

2024 წლის 7 ოქტომბერს 9:00 საათიდან 10:30 საათამდე დაგეგმილია საერთაშორისო უნივერსიტეტის ყოველწლიური გამოფენა BGA-სა და BIST-ის მე-9-მე-12 კლასების მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. წელს გამოფენაზე მეტი მონაწილე გვყავს, ვიდრე წინა წლებში: ჯამში სკოლას ევროპისა და აშშ-ის 25 უნივერსიტეტი და საზაფხულო პროგრამა ეწვევა. მოსწავლეებსა და მშობლებს შესაძლებლობა ექნებათ, პირადად გაესაუბრონ უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, გაეცნონ ინგლისურენოვან პროგრამებს და მიიღონ ინფორმაცია ჩარიცხვის პროცედურებისა და დაფინანსების პერსპექტივების შესახებ.

საშემოდგომო არდადეგები

14-დან 21 ოქტომბრის ჩათვლით აკადემიაში საშემოდგომო არდადეგებია. ამ პერიოდში კამპუსზე არ იქნებიან მასწავლებლები. ადმინისტრაცია კი ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.

სპორტული სიახლეები

როგორც იცით, ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებისათვის სპორტი სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს გუნდების დაკომპლექტება მიმდინარე წლისათვის, რისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ამხანაგური მატჩები.

ოქტომბერში ორი ამხანაგური მატჩი გვაქვს ჩანიშნული:

- 8 ოქტომბერი, 16:30
  BGA U16 გოგონების გუნდი VS QSI U16 გოგონების გუნდი; QSI სკოლის სტადიონი

- 9 ოქტომბერს, 17:30: BGA U18 ვაჟების გუნდი VS გერმანული სკოლის U18 ვაჟების გუნდი; BGA.

სურვილის შემთხვევაში ორივე მატჩზე შეძლებთ ჩვენი გუნდის გამხნევებას.

დემეტრეს წარმატება UCMAS-ის ჩემპიონატზე

თბილისში გამართულ UCMAS-ის ეროვნულ ჩემპიონატზე BGA-ის მეოთხე კლასის მოსწავლემ, დემეტრემ მეორე ადგილი დაიკავა. ჩემპიონატი წელს პირველად ჩატარდა და მასში 120 ნიჭიერი მოსწავლე მონაწილეობდა.

პროგრამა 4-დან 14 წლამდე მოსწავლეებს აერთიანებს. ბრიტანულ-ქართული აკადემია UCMAS-ის ერთ-ერთი პარტნიორია და ჩვენი 100-ზე მეტი მოსწავლე გადის მენტალური არითმეტიკის პროგრამას.

ვულოცავთ დემეტრეს და კიდევ მრავალ წარმატებას ვუსურვებთ!

IB DP პროგრამის საინფორმაციო შეხვედრა

აკადემიური წლის დასაწყისში IB მოსწავლეების მშობლებს საინფორმაციო შეხვედრაზე ვუმასპინძლეთ. პროგრამის ხელმძღვანელმა, მარტინ კეონმა წარადგინა BGA-ის შედეგები მაისში ჩატარებულ IB გამოცდებზე და მათი მიმართება მსოფლიო ტრენდებთან. შეხვედრაზე ვისაუბრეთ ჩვენი მოსწავლეების საუნივერსიტეტო გეგმებზე, აპლიკაციების შევსების პროცესზე და შევჯერდით კონკრეტულ ნაბიჯებზე, რომელთა გათვალისწინებაც მოსწავლეებს დასახული მიზნების მიღწევაში დაეხმარებათ.

ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკი

BGA-ის სამეცნიერო ჯგუფმა, რომელიც მოსწავლეებითა და მასწავლებლებით იყო დაკომპლექტებული, აკადემია ილიაუნის ყოველწლიურ სამეცნიერო პიკნიკზე წარმოადგინა. გამორჩეული სამეცნიერო აქტივობების დამსახურებით, ჩვენი სტენდი წელსაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მოსწავლეებმა მეცნიერებით დაინტერესებულ ვიზიტორებს ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის მიმართულებით არაერთი საინტერესო ექსპერიმენტი აჩვენეს.

რეკომენდაციები წარმატებული სასწავლო წლისთვის

- ელექტრონული ფოსტა ჩვენთვის თქვენთან კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. რეგულარულად შეამოწმეთ ელფოსტა მნიშვნელოვანი სიახლეების, განცხადებების და თქვენი შვილის პროგრესის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

- წაახალისეთ თქვენი შვილი, რომ საშინაო დავალება დროულად შეასრულოს და საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მასწავლებელს მიმართოს. საშინაო დავალების შესრულებით მოსწავლე სკოლაში დაწყებულ სასწავლო პროცესს აგრძელებს.

- ჩვენ კარგად გვესმის მშობლებსა და მასწავლებლებს შორის მჭიდრო კომუნიკაციის მნიშვნელობა. არ მოგერიდოთ თქვენი შვილის მასწავლებლებთან დაკავშირება თქვენი შვილის განათლებასთან თუ კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

  გთხოვთ, შეახსენოთ თქვენს შვილს, რომ პასუხისმგებლობით მართოს ეკრანთან გატარებული დრო. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მოსწავლეებს ჯანსაღი ციფრული ჩვევები ჰქონდეთ, რაც მომავალში ხელს შეუწყობთ გაკვეთილებზე ფოკუსირებაში ყურადღების გაფანტვის გარეშე.

მე-9 კლასის გამოფენა

მე-9 კლასის მოსწავლეები პირველი თემის ფარგლებში სახვითი ხელოვნების ელემენტებს, მათ შორის, ტონსა და ხაზს სწავლობენ. ერთ-ერთი აქტივობა თანამედროვე მოქანდაკის, ალექსანდრე ქალდერის შემოქმედებით იყო შთაგონებული, რომლის ხელწერაც მავთულებით უნიკალური სკულპტურების შექმნაა. მოსწავლეებმა თავადაც მოსინჯეს ძალები სხვადასხვა შემოქმედებით სტილში და თვითგამოხატვის ახალი საშუალება აღმოაჩინეს — კერძოდ, ორგანზომილებიანი ხაზის სამგანზომილებიან ფორმად ქცევა. ნამუშევრები სკოლაში გამოიფინა.

LIONS LITERARY MAGAZINE

თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლისა და ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებმა ციფრული ჟურნალი გამოსცეს. Lions Literary Magazine ახალი პლატფორმაა, რომელიც სკოლის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ფართო საზოგადოებას გაუზიარონ საკუთარი ნაშრომები პროზაში, პოეზიაში, ფოტოგრაფიასა თუ ვიზუალურ ხელოვნებაში. ჟურნალი ორენოვანია. გაეცანით პუბლიკაციას.

სკოლის გაცდენის შემთხვევაში: ლანჩის სერვისი

თუ გაცდენის შესახებ შეგვატყობინებთ არაუგვიანეს 08:00-ისა, მოსწავლისთვის აღარ დამზადდება საკვები და შესაბამისად, გაცდენილი დღის კვების საფასური მოსწავლის ანგარიშიდან არ დაიქვითება. კითხვების შემთხვევაში, მოგვწერეთ — attendance@bga.ge

ვიზიტები სკოლაში

ბავშვთა უსაფრთხოების პროცედურების გათვალისწინებით, ჩვენ მკაცრად ვაკონტროლებთ, ვინ როდის დაიშვება სკოლის ტერიტორიაზე. გთხოვთ, სკოლის ტერიტორიაზე ყოფნისას საიდენტიფიკაციო ბარათი ყოველთვის გამოსაჩენ ადგილას გეკეთოთ. თუ მასწავლებელთან შეხვედრა გსურთ, დაუკავშირდით სკოლას შესაბამისი დროისა და ადგილის შესარჩევად. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ თქვენს მოსასმენად.